საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 861 2022 წლის 18 მაისი ქ. თბილისი

გ. ლილუაშვილის საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტებზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე მომხსენებლად დანიშვნის შესახებ

1. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ საქართველოს კანონების პროექტებზე: „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სადაზვერვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე - გიორგი ლილუაშვილი.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის საფუძველზე, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კანონპროექტებს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომებზე განსახილველად წარადგენს საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის მოადგილე - ვახტანგი ბაჩიაშვილი.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**